მოსწავლეთა რემედიაციის პროგრამაში ჩართვის წესი

რემედიაციის პროგრამის შექმნის მიზეზი გახლავთ მოსწავლის ინდივიდუალური დახმარება სასწავლოს პროცესში წარმოქმნილი შეფერხებების დაძლევის მიზნით.

რემედიაციის პროგრამა ხორციელდება პედაგოგების მიერ წინასწარ განსაზღვრულ დღეებში, რომელიც ყველა მშობელსა და მოსწავლეს ეცნობება სქულბუქის მეშვეობით.

მასწავლებელს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მოსწავლის რემედიაციის პროგრამაში ჩართვის შესახებ სემესტრის განმავლობაში წარმოქმნილი სირთულეების გათვალისწინებით.

თუმცა, სემესტრის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ცენტრალიზებული წერების შეფასების საფუძველზე პედაგოგი ადგენს იმ მოსწავლეთა სიას, რომლებიც კონკრეტულ საგნებში საჭიროებენ პროგრამაში ჩართვას. ასეთ დროს კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეთა მშობელს წერილობით აცნობებს რეკომენდაციას ბავშვის პროგრამაში ჩართვის შესახებ.

რემედიაციის პროგრამაში მოსწავლის ჩართვა შესაძლოა განხორციელდეს მოსწავლის ან მშობლის ინიციატივით. ბავშვს შეუძლია დაესწროს შეხვედრებს წინასწარ დაანონსებული განრიგის მიხედვით.